# თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 24 ოქტომბერი 2022 წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „უნივერსიტეტი" ან „ბსუ"), წარმოდგენილი რექტორის, **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **„ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" N2 საბავშო ბაღი** (შემდეგში ,,ბაღი"), წარმოდგენილი გამგის **ნანული ერემაშვილის** მიერ (შემდეგში ,,მხარეები"), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

**მხარეთა უფლება–მოვალეობები:**

1. **„ბაღი"** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელის"** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი** 1) პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით:
   ა) მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პროფესიულ **სტუდენტთა კონტიგენტის** ფარგლებში (10 პროფესიული სტუდენტი).
   ბ) წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის **სასწავლო გეგმის** გათვალისწინებით (სასწავლო გეგმა - წინამდებარე მემორანდუმის დანართი 2);
   გ) წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის მოდულებში (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 3, დანართი 4, დანართი 5).
   დ) „ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" N2 საბავშო ბაღის **მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 6).

2. მხარეები:
   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
   ბ) უზრუნველყოფენ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე ბაღის ბაზაზე;
   გ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
   დ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიულ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

3. წინამდებარე მემორანდუმის დანართები შეადგენენ ამ მემორანდუმისა და შემდეგში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს პროგრამის განხორციელების ვადით

3. მხარეთა ხელმოწერები:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ქ. ბათუმი,
რუსთაველის/ნინოშვილის 32/35
ს/კ 245428158
ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge

„ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" N2 ასაბავშვო ბაღი

მისამართი: ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N5
ს/კ 445393510
ელ. ფოსტა: info@batumikids.ge

უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი, მერაბ ხალვაში

---------------------------------------
(ხელმოწერა)

ბაღის გამგე
ნანული ერემაშვილი

---------------------------------------
(ხელმოწერა)